შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 6

1.ზოგადი ნაწილი 6

2. მომზადების საფუძველი 7

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა 7

4. ფულადი სახსრები. 13

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. 13

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. 13

7. ძირითადი საშუალებები. 14

8. სავაჭრო ვალდებულებები. 14

9. მოკლევადიანი სესხები 14

11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 15

12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 15

13. . სხვა შემოსავალი 15

14. კომერციული ხარჯები. 16

15. ადმინისტრაციული ხარჯები. 16

16. ფინანსური შემოსავალი. 17

17. ფინანსური დანახარჯები. 17

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 17

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	162,786	192,883
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	537,907	777,880
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	3,640,245	3,668,394
სულ მიმდინარე აქტივები		4,340,938	4,639,157
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	321,254	415,163
არამატერიალური აქტივები		1,776	2,273
სულ გრძელვადიანი აქტივები		323,031	417,436
სულ აქტივები		**4,663,969**	**5,056,593**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	-	129,050
სავაჭრო ვალდებულებები	9	151,585	82,511
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		72,505	0
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	10	86,967	54,703
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		311,057	266,265
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	8	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	-
სულ ვალდებულებები		**311,057**	**266,265**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		4,350,911	4,788,328
სულ საკუთარი კაპიტალი		**4,352,911**	**4,790,328**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**4,663,969**	**5,056,593**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ---------- ავთანდილ გელავა

მთ. ბუღალტერი ---------- სოსო ქაფიანიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	11	6,931,217	8,168,396
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(5,031,219)	(5,206,923)
საერთო მოგება		1,899,999	2,961,474
სხვა შემოსავალი	13	49,849	66,727
კომერციული დანახარჯები	14	(38,943)	(44,040)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,308,059)	(2,342,733)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკურსო სხვაობა		3,325	91,116
ფინანსური შემოსავალი	16	7,274	9,660
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(15,849)	(86,251)
ფინანსური დანახარჯები	17	(35,012)	(78,579)
მოგება დაბეგვრამდე		(437,417)	577,374
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		(437,417)	577,374

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ---------- ავთანდილ გელავა

მთ. ბუღალტერი ---------- სოსო ქაფიანიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	**2,000**	**4,788,328**	**-**	**4,790,328**
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(437,417)	-	**(437,417)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	**2,000**	**4,350,911**	**-**	**4,352,911**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ---------- ავთანდილ გელავა

მთ. ბუღალტერი ---------- სოსო ქაფიანიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ნაწილი

შპს „მათემოტორსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2005 წლის 04 თებერვალს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204470063, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მარჯვენა სანაპირო N6, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი გელა ბარკალაია (პ.ნ 39001000283)

კომპანიის დირექტორია ავთანდილ გელავა (პ.ნ 01024014473)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ავტომობილების რეალიზაცია, მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია, მსუბუქი ავტომობილების ტექმომსახურება. კომპანიას აქვს ფილიალები როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. კომპანიას ფილიალები აქვს შემდეგ ქალაქებში:

- თბილისი;
- ქუთაისი;
- ბათუმი;
- ზუგდიდ;
- თელავი;
- ახალციხე;
- რუსთავი;
- ფოთი;
- გორი.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის

თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის

დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დნადგარები -5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

საგზაო ტექნიკა - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით

რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის" შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

4. ფული ნაღდი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2019	2018
ნაღდი ფული	18,035	3,910
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	132,449	182,268
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	12,302	6,705
სულ	**162,786**	**192,883**

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	128,478	433,116
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	32	-
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	158,826	209,926
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	784	522
წინასწარ გადახდილი გადასახადი	138,326	32,881
სხვა მიმდინარე აქტივები	4,120	3,332
პრეტენზიები დებიტორებთან	107,342	98,103
სულ	**537,907**	**777,880**

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2019	2018
საქონელი	3,634,815	3,654,310
ნედლეეული	4,853	12,928
საწვავ-საცხები მასალები	577	1,157
სულ	**3,640,244**	**3,668,395**

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და ელექტრო მოწყობილობები	ავეჯი და ინვენტარი	მსუბუქი ავტომობილები	სხვა ავტოტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	577,793	81,181	230,659	283,610	313,148	122,523	145,722	207,025	1,961,662
შემოსვლა	10,253	1,476	3,665	14,246	39,607		7,435	24,592	101,275
გასვლა						(72,348)			(72,348)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	588,046	82,657	234,325	297,856	352,755	50,175	153,157	231,618	1,990,588
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	(439,025)	(68,788)	(182,975)	(213,653)	(294,052)	(87,555)	(102,364)	(158,086)	(1,546,499)
ცვეთის ხარჯი	(34,966)	(7,137)	(19,916)	(36,593)	(23,614)	(7,235)	(15,234)	(22,755)	(167,449)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა						44,615			44,615
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	(473,991)	(75,926)	(202,891)	(250,246)	(317,666)	(50,175)	(117,598)	(180,842)	(1,669,334)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	138,768	12,393	47,685	69,956	19,096	34,968	43,358	48,939	415,163
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	114,056	6,731	31,433	47,610	35,089	-	35,559	50,776	321,254

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

9. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2019	2018
მიწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	126,920	76,337
მიღებული ავანსები	24,666	6,174
სულ	**151,586**	**82,511**

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

8. მოკლევადიანი სესხები

2019 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი 31.12.2019	გრძელვადიანი 31.12.2019	მოკლევადიანი 01.01.2019	გრძელვადიანი 01.01.2019
სს პროკრედიტ ბანკი		დოლარი	30.01.2017	08.05.2019	-	-	129,050	-
სულ					-	-	129,050	-

11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2019
ავტომობილების რეალიზაცია	
საქონლის რეალიზაცია	1,042,475
ავტოტექმომსახურება	5,888,742
სულ	**6,931,217**

12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის 2019 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება:

	2019
ავტოტექმომსახურებაზე დარიცხული ხელფასი	865,070
შეძენილი ავტოტექმომსახურება	422,288
სათადარიგო ნაწილების ღირებულება	3,743,861
სულ	**5,031,219**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დათვლილი საშუალო შეწონილი ფასთა მეთოდით.

13. . სხვა შემოსავალი

კომპანიის 2019 წლის სხვა შემოსავალი შედგება:

	2019
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	10,142
ძირითადი საშეუალებებიდან მიღებული ნეტო შემოს.	39,708
სულ	**49,849**

14. კომერციული ხარჯები.

კომპანიის 2019 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2019
რეკლამის ხარჯები	17,955
ქონების შეფასების ღირებულება	3,600
ტენდერში მონაწილეობის საკომისიო	6,442
მიწოდების სხვა ხარჯები	10,946
სულ	**38,943**

15. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2019 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2019
დაზღვევის ხარჯი	16,806
კომუნალური ხარჯი	80,264
კომუნიკაციის ხარჯი	26,679
საბანკო ხარჯი	58,727
საგადასახადო ხარჯი	5,796
საიჯარო ხარჯი	671,942
საკონსულტაციო ხარჯი	78,310
საოფისე ხარჯი	33,900
სხვა საერთო ადმინ.ხარჯი	54,552
ტრანსპორტირების ხარჯი	100,279
შრომის ანაზღაურება	1,013,950
ცვეთის ხარჯი	166,855
სულ	**2,308,059**

16. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2019
მიღებული ჯარიმები და პირგასამტეხლო	5,256
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,018
სულ	**7,274**

17. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2019 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2019
საპროცენტო ხარჯები	2,606
საგადასახადო საურავები	2,712
დებიტორების მირ დარიცხული ჯარიმები	11,606
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18,088
სულ	**35,012**

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(24,375)	(1,600)
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(576,853)	104,400
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცი	85	50,381
სულ	**(601,143)**	**153,181**

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარერსთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	-	(1,511)
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცი	-	-
სულ	**-**	**(1,511)**

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს.